პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქი ბათუმი ____ მაისი, 2025 წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2025 წლის 05 მაისის N5234/02 წერილის საფუძველზე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის ქუჩა N3ბ-ში მდებარე, 322 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 05.35.28.536).
2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში მიღებისათვის საჭირო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.
3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. #30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო“-ს 2025 წლის 04 მარტის N01-01-10/2079 (N04-1425063987-14) წერილი, რომელიც ეხება შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ სამინისტროსადმი მიმართვას (N03/22; 17.02.2025წ.) ქალაქ ბათუმში, დაბა ხელვაჩაურში, „აჭარის მყარი ნარჩენების მართვის“ პროექტის II ფაზის – GrCF2W1 ფარგლებში გათვალისწინებული, მუნიციპალური ნარჩენების შუალედური გადამტვირთი სადგურის მშენებლობის მიზნით შერჩეული ტერიტორიის - სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისა (ს/კ 05.35.28.536) და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.35.28.603) ნაწილის გაერთიანების საკითხს და ამ მიზნით ქალაქ ბათუმში, აკაკი შანიძის ქუჩა N3ბ-ში მდებარე, სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრირებული 322 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.35.28.536) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად აღრიცხვისა და რეგისტრაციისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას, შემდგომში მისი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემას.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 17 მარტის N14-1425076628 მიმართვის საფუძველზე, სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს 2025 წლის 25 მარტის №1/1-1547 ბრძანებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა დამატებითი ქონების სახით, ქალაქ ბათუმში, აკაკი შანიძის ქ. N3ბ-ში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ: 05.35.28.536), შესაბამისად აღნიშნული მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში.

ამჟამად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2025 წლის 05 მაისის N5234/02 (N07-14251269-14) წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, აკაკი შანიძის ქუჩა N3ბ-ში მდებარე 322 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 05.35.28.536) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში, მუნიციპალური ნარჩენების შუალედური გადამტვირთი სადგურის მშენებლობის მიზნით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემა შემდგომში, მუნიციპალური ნარჩენების შუალედური გადამტვირთი სადგურის მშენებლობის მიზნით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**